07/05/2021

ილია მეორე – წმინდა გიორგი არის გაჭირვებული ადამიანების დამხმარე, იმედი და სიყვარული არ უნდა დავკარგოთ

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე სრულიად საქართველოს წმინდა გიორგის დღესასწაულს ულოცავს.

პატრიარქის ვიდეომილოცვას საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს.

„დღეს არის დიდი დღესასწაული. სრულიად საქართველოს ვულოცავ წმინდა გიორგის დღესასწაულს. წმინდა გიორგი არის გაჭირვებული ადამიანების დამხმარე. შეგეწიოთ წმინდა გიორგი თქვენ და ყოველ გაჭირვებულს. იმედით ვიყოთ, იმედი არ უნდა დავკარგოთ, სიყვარული არ უნდა დავკარგოთ, დახმარება გავუწიოთ ერთმანეთს. დალოცვილი იყავით, იხარეთ ორსავე სოფელსა შინა“, – აღნიშნავს პატრიარქი.

1tv.ge